



## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი



## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს უნივერსიტეტში ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცედურებს, ბიბლიოთეკის ურთიერთდამოკიდებულებას მკითხველებთან, აყალიბებს მკითხველთა მომსახურების ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, საბიბლიოთეკო დოკუმენტებთან ხელმისაწვდომობის პირობებს და ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს;
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ეფუძნება “საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დებულებას, ქცევის (ეთიკის) კოდექსს, შინაგანაწესსა და ბიბლიოთეკის დებულებას;
3. ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის ორ კორპუსში, მისამართებზე: საქართველო, 0178, ქ. თბილისი, შატილის ქ. №4; საქართველო, 0159, ქ. თბილისის, ი. ენუქიძის ქ. №6
4. ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი ბეჭედი, საკონტაქტო ელ-ფოსტა: [EEU.Lib@eeu.edu.ge](mailto:EEU.Lib@eeu.edu.ge) და უნივერსიტეტის ვებსაიტზე საკუთარი გვერდი;
6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ სტუდენტებს, უნივერსიტეტის თანამშრომლებს (ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს), უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ პირებსა და ასევე სხვა სტუმრებს;

## მუხლი 2. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

1. ბიბლიოთეკა მუშაობს შემდეგი განრიგით:

ა) ორშაბათი - პარასკევი: 10:00-20:30 საათი;

ბ) შაბათი: 10:00-18:00 საათი;

2. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ცვლიანობის განრიგი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით ან შრომითი ხელშეკრულებით;



3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაზარდოს ბიბლიოთეკის მუშაობის საათები სტუდენტების რაოდენობისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

### მუხლი 3. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის საჭიროა მომხმარებელთა გაწვევრიანება/რეგისტრირება.
2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების გაწვევრიანება ხდება ავტომატურად, უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე ელექტრონული მონაცემების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სტუდენტის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, სემესტრი და ფაკულტეტი;
3. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თანამშრომლების, აკადემიური პერსონალის, უნივერსიტეტის მიერ მოწვეული პირებისა და ასევე, სხვა სტუმრების რეგისტრირება ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) საფუძველზე;
4. სტუდენტი ინარჩუნებს მკითხველის სტატუსს, მანამ სანამ დაასრულებს საგანმანათლებლო პროგრამას. უნივერსიტეტის თანამშრომელი კი მკითხველის სტატუსს ინარჩუნებს შრომითი ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე;
5. აბონენტი/მკითხველი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკას სახელის, გვარის და საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში

### მუხლი 4. საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა

1. ბიბლიოთეკას გააჩნია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები, სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი წიგნადი და არაწიგნადი ფონდი (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ)
2. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო კოლექციებით, სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზებით, პრინტერით, ასლის

- გადამღებითა და სკანერით, უკაბელო ინტერნეტით, ჯგუფური მუშაობის სივრცეებით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე უფასო წვდომით;
3. უნივერსიტეტის კორპორატიული ელ-ფოსტის მეშვეობით მკითხველს შესაძლებელია სამეცნიერო ელექტრონული ბაზებითა და ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს, როგორც ადგილზე, ასევე სხვა ტერიტორიიდან, ხოლო დანარჩენ მკითხველს, მხოლოდ უნივერსიტეტის სივრცეში;
  4. მკითხველმა სამკითხველო დარბაზში საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის მიზნით, ბიბლიოთეკის თანამშრომელს უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტის მიერ გაცემული სტუდენტის/თანამშრომლის ბარათი; წიგნით სარგებლობის დასრულების შემდეგ, მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომელს დაუბრუნოს წიგნი, რის შემდეგაც მკითხველს უბრუნდება სტუდენტის/თანამშრომლის ბარათი;
  5. საბიბლიოთეკო რესურსის მკითხველზე გაცემა/არ გაცემა დამოკიდებულია მასალის კატეგორიაზე, ეგზემპლარების რაოდენობაზე და მოთხოვნის სიხშირეზე;
  6. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის, მკითხველი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სარგებლობის წესებს

#### მუხლი 5. საბიბლიოთეკო რესურსის მოძიება, დაჯავშნა, გაცემა და დაბრუნება

1. მკითხველს შესაძლებლობა აქვს, მისთვის საინტერესო მასალა მოძიოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში ([https://eeu.edu.ge/lib/opac/index\\_geo.php](https://eeu.edu.ge/lib/opac/index_geo.php)) ან დახმარებისთვის მიმართოს ბიბლიოთეკას;
2. მკითხველს შესაძლებლობა აქვს, მისთვის საინტერესო მასალა ბიბლიოთეკას შეუკვეთოს როგორც პირადად, ასევე ელექტრონულად, ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული სპეციალური ფორმის შევსების საფუძველზე;
3. საბიბლიოთეკო ერთეულის შეკვეთის შემდეგ, ბიბლიოთეკარი აწვდის მკითხველს შემდეგ ინფორმაციას - ხელმისაწვდომია თუ არა მისთვის საინტერესო მასალა ბიბლიოთეკაში, შეუძლია თუ არა სახლში გატანა და რა ვადით;
4. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში მოქმედებს წიგნთან თავისუფალი დაშვების წესი; დაუშვებელია ერთ მომხმარებელზე ერთი და იმავე დასახელების ერთზე მეტი ეგზემპლარის დარბაზში გაცემა

5. ლიტერატურის რაოდენობა სამკითხველო დარბაზში სარგებლობისათვის არ არის შეზღუდული;
6. მკითხველს შესაძლებლობა აქვს მისთვის სასურველი მასალა დაჯავშნოს წინასწარ, დაჯავშნილ საბიბლიოთეკო ერთეულზე სხვა მკითხველის მხრიდან მოთხოვნის გაჩენის შემთხვევაში, ჯავშანი უქმდება 1 დღის შემდეგ;
7. ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის უფლებით სარგებლობენ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და თანამშრომლები.
8. გაცემული ლიტერატურის რაოდენობა უნივერსიტეტის ყველა ბიბლიოთეკიდან არ უნდა აღემატებოდეს სამ წიგნს;
9. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს თითო ეგზემპლარი, გაიცემა მხოლოდ სამკითხველო დარბაზში სარგებლობისათვის;
10. მხოლოდ სამკითხველო დარბაზში სარგებლობისათვის გაიცემა პერიოდული გამოცემები (ჟურნალები, გაზეთები), საცნობარო ლიტერატურა (ენციკლოპედიები, ლექსიკონები), რარიტეტები (იშვიათი გამოცემები, ძველი წიგნები);
11. მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში; ერთეულის გაცემის თარიღის შესახებ ინფორმაცია აღნიშნულია საინფორმაციო რესურსის ფორმულარზე და შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.
12. ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნზე სხვა მკითხველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია, წინასწარ შეთანხმებულ დროზე ადრე, დააბრუნოს ლიტერატურა ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 48 საათისა, აღნიშნული ვადა ითვლება წიგნის დაბრუნების ვადად და დაგვიანების შემთხვევაში განსაზღვრულ სანქციებს არეგულირებს წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-16 პუნქტი დამ მე-9 მუხლი;
13. თუ მკითხველი ობიექტური მიზეზების გამო (მაგ: ავადმყოფობა, ქვეყანაში არ ყოფნა და სხვ.) ვერ აბრუნებს გატანილ მასალას წინასწარ განსაზღვრულ დროში, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში მასალით სარგებლობის ვადა ჩაითვლება დარღვეულად;
14. მკითხველს შეუძლია გადადოს გატანილი წიგნის დაბრუნების ვადა, როგორც პირადად, ასევე ელ-ფოსტის საშუალებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ წიგნზე არ არის მოთხოვნა;



15. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს წიგნის გატანის შემდეგი ვადებით:
- ა) სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა – 10 დღე; წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება ხდება ერთხელ - 10 დღით;
  - ბ) სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა, რომელიც განკუთვნილია მიმდინარე სემესტრში სტუდენტთა მოხმარებისათვის, გაიცემა მხოლოდ 24 საათით; წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება ხდება ერთხელ - 24 საათით;
16. მკითხველის მიერ გატანილი ერთეულის დაბრუნების ვადის გადაცილების ან დაკარგვის შემთხვევაში:
- ა) აღნიშნულ მკითხველზე აღარ მოხდება წიგნის გაცემა;
  - ბ) წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მკითხველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკას, ამის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საფინანსო და მატერიული რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ მოხდება აღნიშნული ერთეულის საბაზრო ფასის დადგენა. მოხდება ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ შესაბამისი აქტის შედგენა ერთეულის ღირებულების მითითებით და მკითხველს ეცნობება თავისი ვალდებულებების შესახებ;
  - გ) წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველს შეუძლია წარმოადგინოს იგივე დასახელების ერთეული ან სანაცვლოდ სხვა დასახელების ერთეული ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია გადაიხადოს აქტით განსაზღვრული ღირებულება;
  - დ) უნივერსიტეტთან ხელშეკრულების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მკითხველი ვალდებულია დააბრუნოს მასზე გაცემული ყველა მასალა. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე გავრცელდება წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-16 პუნქტითა და მე-9 მუხლით განსაზღვრული სანქციები;
  - ე) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დავალიანების მქონე სტუდენტზე/მსმენელზე არ გაიცემა დიპლომი/სერტიფიკატი;

## მუხლი 6. ბიბლიოთეკის ასლის გადაღებისა და მასალის ბეჭდვის სერვისით, ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობის წესი

1. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს საავტორო უფლებების დაცვის ინსტრუქციებისა და შენახვის მოთხოვნების შესაბამისად, სხვადასხვა სასწავლო, კვლევითი და მხატვრული ლიტერატურის ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის სერვისით;
2. ასლის გადაღებისა და მასალის ამობეჭდვის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია წინასწარ შეკვეთის საფუძველზეც, როგორც პირადად, ასევე ონლაინ რეჟიმში;
3. წინასწარი შეკვეთისას, მომხმარებელი მასალის ასლს ან/და ამობეჭდილ ვერსიას იღებს არაუმეტეს ორი სამუშაო დღის ვადაში;
4. ბიბლიოთეკის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უფლება აქვს ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ყველა მკითხველს;
5. კომპიუტერთა და ინტერნეტით სარგებლობა არის უფასო, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ასევე ისარგებლოს უკაბელო ინტერნეტით.
6. კომპიუტერთ სარგებლობისას დაშვებულია:
  - ა) ტექსტების შეყვანა და რედაქტირება;
  - ბ) ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა ;
  - გ) CD დისკების გამოყენება ბიბლიოთეკართან შეთანხმებით ;
  - დ) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა ;
  - ე) უნივერსიტეტის ვებგვერდებით სარგებლობა ;
  - ვ) სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.
  - ზ) ფონდში არსებული ელექტრონული მასალებით სარგებლობა
7. თუ მკითხველი არ ფლობს პრინტერით, ქსეროქსით, სკანერის აპარატით, კომპიუტერთა და სხვა აუდიო -ვიზუალური ტექნიკით სარგებლობის ჩვევებს, ბიბლიოთეკარი ვალდებულია, აღმოუჩინოს მას დახმარება;

## მუხლი 7. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

1. სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია ისეთი ქმედება, რომელიც ხელს უშლის მკითხველს მუშაობაში;

2. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე მკითხველი ვალდებულია გადაიყვანოს მობილური უხმო რეჟიმზე, დაიცვას სიჩუმე, ურთიერთობის ეთიკური ნორმები, ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;
3. ბიბლიოთეკაში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა, მობილური ტელეფონზე საუბარი, სამკითხველო დარბაზებში განთავსებული კომპიუტერების არადანიშნულებისამებრ გამოყენება (გასართობი საიტებისთვის, ფილმების ყურება, აზარტული თამაშების თამაში, კომპიუტერების კონფიგურაციის შეცვლა...)
4. ბიბლიოთეკაში დაუშვებელია საკვები პროდუქტების შეტანა, გარდა ბოთლში ჩამოსხმული წყლისა და სხვა მინერალური სასმელებისა;
5. იკრძალება მკითხველის მიერ სამკითხველო დარბაზიდან საბიბლიოთეკო დოკუმენტის მკითხველის აბონემენტში ბიბლიოთეკარის მიერ სპეციალური ჩანაწერის გაკეთების გარეშე, თვითნებურად გატანა, რაც ჩათვლება არამართლოზომიერ ქმედებად და გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული ზომები.

## მუხლი 8. მკითხველისა და ბიბლიოთეკის უფლება-მოვალეობები

### 1. მკითხველს აქვს უფლება:

- ა) დროებით სარგებლობისათვის, უფასოდ ისარგებლოს ბიბლიოთეკაში დაცული ნებისმიერი სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტით;
- ბ) მიიღოს სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია და კონსულტაცია ბიბლიოთეკარებისაგან;
- გ) ისარგებლოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით, საძიებო სისტემით, ელექტრონული რესურსებითა და ინტერნეტ-ქსელით;
- დ) გადაიღოს ასლი ბიბლიოთეკის ფონდში დაცული მისთვის საჭირო მასალების წინამდებარე წესის დაცვით;
- ე) მონაწილეობა მიიღოს საბიბლიოთეკო მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში;
- ვ) უფლება აქვს, ბიბლიოთეკიდან ერთდროულად გაიტანოს არაუმეტეს 2 წიგნი;
- ზ) გააგრძელოს წიგნისა და სხვა სახის დოკუმენტების სარგებლობის ვადა დადგენილი წესით;



თ) მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წინადადებებით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას/მიიღოს მონაწილეობა საბიბლიოთეკო რესურსებით კმაყოფილების შესახებ გამოკითხვებში.

## 2. მკითხველი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;

ბ) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

გ) გაუფრთხილდეს მასზე გაცემულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს, არ გააკეთოს ფონდში დაცულ მასალებზე ჩანიშვნები, ჩანაწერები, არ ამოხიოს ფურცლები, ელექტრონული მატარებლები არ დააფორმატოს ან სხვაგვარად დააზიანოს და ა.შ.;

დ) წარადგინოს სტუდენტის/თანამშრომლის ბარათი წიგნით სარგებლობისთვის;

ე) წიგნის და სხვა სახის მასალის მიღების შემთხვევაში დაათვალიეროს მისი ფიზიკური მდგომარეობა და დეფექტების აღმოჩენისას აცნობოს ბიბლიოთეკარს;

ვ) დააბრუნოს გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტები დადგენილ ვადებში ან ობიექტური მიზეზების წიგნის დროულად დაბრუნების ვერ უზრუნველყოფის შემთხვევაში, აცნობოს ბიბლიოთეკას.

ზ) არ გაიტანოს ბიბლიოთეკიდან ისეთი საბიბლიოთეკო დოკუმენტი, რომელიც არ არის ჩაწერილი მკითხველის ფორმულარში, ან არ ექვემდებარება გაცემას;

თ) საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დააბრუნოს ისინი თაროზე, არამედ ჩააბაროს ბიბლიოთეკარს ან დატოვოს მაგიდაზე;

ი) საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს ბიბლიოთეკისათვის მიყენებული ზარალი დადგენილი წესის შესაბამისად;

კ) დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით/შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ლ) მკითხველი ვალდებულია პატივი სცეს როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასევე სხვა მომხმარებლის უფლებებს;

მ) თითოეული მკითხველი პასუხისმგებელია პირად ქონებაზე, მათ შორის ძვირფას ნივთზე, ჩანთაზე, მობილურ ტელეფონზე. აღნიშნული ქონების უმეტესადაც უნდა დატოვდეს ან დაკარგვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას;

ნ) პირადი ნივთის დაკარგვისას მკითხველმა დაუყოვნებლივ აცნობოს დაცვის სამსახურს;

### 3. ბიბლიოთეკა ვალდებულია:

- ა) სისტემატური ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველებს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ფორმებისა და მეთოდების შესახებ;
- ბ) სრულყოს მომსახურების ფორმები, მიაღწიოს მომსახურების მაღალ კულტურას, მიზანშეწონილად გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- გ) ჩაატაროს ღონისძიებები, პოპულარიზაცია გაუწიოს ბიბლიოთეკის რესურსებს;
- დ) ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც გასცემს მასალას დარბაზში სამუშაოდ ან ხელზე წასაღებად, ან იბრუნებს მასალას, ვალდებულია მკითხველთან ერთად შეამოწმოს მასალის მდგომარეობა. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ვალდებულია შეადგინოს ოქმი;
- ე) განახორციელოს სისტემური კონტროლი ფონდების მოძრაობაზე, გამოიყენოს ჯარიმის სანქციები იმ მკითხველთა მიმართ, რომლებიც ზარალს აყენებენ ბიბლიოთეკას ;

### მუხლი 9. სანქციები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესების დარღვევაზე

1. მკითხველის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სანქციები:
  - ა) შენიშვნა;
  - ბ) გაფრთხილება;
  - გ) სამკითხველო დარბაზის დატოვება;
  - დ) წიგნის გატანის უფლების შეზღუდვა;
  - ე) მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
2. მკითხველის მიერ თანამშრომლის ან ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებლის შეურაცხყოფისას, მკითხველს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი;
3. მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსისა და ინვენტარის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, ბრალეულობის დადგენისას, მკითხველს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა და ზარალის სრული ანაზღაურება;

4. მკითხველის მიერ სამკითხველო დარბაზში სიჩუმის დარღვევისას (ხმამაღალი საუბარი, მობილურის ზარი და ა.შ.) მკითხველი ბიბლიოთეკარისგან იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას, მსგავსი დარღვევის ორჯერ განმეორების შემთხვევაში ტოვებს სამკითხველო დარბაზს.
5. მკითხველის მიერ საბიბლიოთეკო რესურსის ბიბლიოთეკიდან თვითნებურად გატანისას, მკითხველს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

#### **მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. წინამდებარე წესში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.